საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გადიდი

გადიდი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ღელისყურის (სულორის შენაკადი) შუა დინებაში. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ონჯოხეთი). ზ. დ. 360 მ, ვანიდან 6 კმ, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 კმ. 109 მცხ. (2014).

გ. წერილობით წყაროებში პირველად XVIII ს. II ნახევარშია მოხსენიებული. შემორჩენილია ფეოდ. ხანის ეკლესიის საძირკველი და წარწერიანი ქვა (XI ს.), რ-იც ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

თ. ბერაძე